სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18/07/2025

MES 8 25 0000891044

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, იმავე წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის“ შესახებ დებულების მე-16 მუხლის, მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 37-ე, 38-ე მუხლების, უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი N1-ის დადგენილება N6-ისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი N19-ის დადგენილება N1-ისა და საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვოტით აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე;
2. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 05 აგვისტოს (10:00 სთ-დან-14:00 სთ-მდე):

ა) განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 ადგილი

3. კანდიდატთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2025 წლის 21 ივლისს და დასრულდეს 2025 წლის 30 ივლისს (10 კალენდარული დღე);
4. კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

5. კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ფაკულტეტიდან დაკავებული თანამდებობის შესახებ;

დ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“.

6. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაკა გიორგანაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ბ) ნინო კოჭლოშვილი - უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

გ) მიშიკო პაპაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი;

7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;

8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების სათანადო წესით გაცნობა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის და ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

9. დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა